

დამტკიცებულია
ბრძანება №10 22.03.2018 წელი
ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქ.საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორი: იოსებ მატიაშვილი

რედაქტირებულია
ბრძანება №72 21.11.2018 წელი
კოლეჯის დირექტორი: იოსებ მატიაშვილი

ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის

განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი)

სტრატეგიული გეგმა 2018 – 2023 წლები

სასწავლებლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს იმ პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების ხარისხის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების გარანტიას.

გრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს სასწავლებლის საქმიანობის შემდეგ მიმართულეებში:

I საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

II საბიბლიოთეკო საქმიანობა

III საინფორმაციო საქმიანობა და განახლებადი ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა

IV დაწესებულების ინფრასტრუქტურა

V შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი სრულყოფა.

VI სოციალური საკითხები, სპორტი.

გასატარებელი ღონისძიებები

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობის სამსახურის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს:

- ✓ სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პროგრამების შექმნაზე, განახლებაზე და შესრულებაზე, სემესტრის განმავლობაში ლექციების, პრაქტიკულების, ლაბორატორიული სამუშაოების, შუალედური და საბოლოო გამოცდების მიმდინარეობაზე პერნამენტულ კონტროლს.
- ✓ საინფორმაციო-ტექნოლოგიების კაბინეტის მოდერნიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურის მოძიებას, აგრეთვე სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების გამოყენებას.
- ✓ კოლეჯის სტატუსის ამაღლება მოდულური პროგრამების III, IV და V საფეხურის პროფესიული პროგრამების შემოღებით.
- ✓ მოდულური პროგრამებისათვის შეფასების სისტემის შექმნას და გამოყენებას.

2. საბიბლიოთეკო საქმიანობა

ბიბლიოთეკა სტუდენტთა და პედ. პერსონალის მომსახურების პრიორიტეტულ სფეროს განეკუთვნება, რაც საჭიროებს ინფრასტრუქტურისა და ფონდების უწყვეტ განახლებას.

- ✓ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის შექმნა.
- ✓ ბიბლიოთეკის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება.

3. საინფორმაციო საქმიანობა

- ✓ ელექტრონული სწავლების ფორმების დანერგვა
- ✓ დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა
- ✓ მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით მთელი შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრული ელექტრონული დაცვის სისტემის მოწყობა.

4. დაწესებულების ინფრასტრუქტურა

სასწავლებლის ინფრასტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს სასწავლებლის ძირითადი მიზნების მიღწევას. ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: სასწავლო კორპუსი, აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, მათი მოწესრიგება და ტექნიკურად გადაიარაღება, ძირითადი სასწავლო ფუნქციის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

ამიტომ ხდება მისი სისტემური რაოდენობრივი და ხარისხობრივი სრულყოფა.

გასატარებელი ღონისძიებები:

- ✓ შენობის დარჩენილი ნაწილის კაპიტალური რემონტი და ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა. შენობის დარჩენილ ნაწილში სასწავლო პირობების გაუმჯობესება, სასწავლო აუდიტორიების თანამედროვე დონეზე აღჭურვა
- ✓ სასწავლო კორპუსის და მისი ეზოს სრული რეაბილიტაცია, სკვერების მოწყობა.

5. კავშირები სხვა სასწავლო დაწესებულებებთან.

საერთაშორისო და შიდა კავშირების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სასწავლებლის ფუნქციონირება, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ჰარმონიზება, ერთობლივი სასწავლო პროექტების შესრულება, მოწინავე სასწავლებლის საბიბლიოთეკო ფონდებთან კავშირი.

- ✓ პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან ჰარმონიზება
- ✓ პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი სასწავლო პროექტების დამუშავება

6. სოციალური საკითხები, სპორტი.

- ✓ სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა უნდა იყოს ადმინისტრაციის მუდმივი ყურადღების საგანი, შრომის ანაზღაურების პერიოდული ზრდა, წარმატებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა და დასაქმებისათვის ზრუნვა.
- ✓ თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებით.
- ✓ სპორტის ხელშეწყობა და სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრენაჟორების კაბინეტის მოწყობა.
- ✓ ზრუნვა მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვისა და არსებული კადრის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის შენობა-ნაგებობები, 1100 კვმ. ფართი, 30 წლიანი აღნაგობის უფლებით, ეზო 3994 მ² • სასწავლო გარემო, ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა გათბობის სისტემა, სტუდენტთა კვების ობიექტი • მაღალკვალიფიციური მდიდარი გამოცდილების მქონე პერსონალი • მაღალი დონის პროფესიული პროგრამებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა • სპორტული მოედანი • თანამშრომლობა ისეთ საწარმოებთან, რომლებიც გამოირჩევიან სტუდენტების შემდგომი დასაქმებით • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი % 	<ul style="list-style-type: none"> • უცხოელ პარტნიორებთან გამოცდილების დეფიციტი • სასწავლო პროგრამების შედგენაში და განვითარებაში დამსაქმებლის სუსტი ჩართულობა • რეგულარული სამგზავრო ტრანსპორტის დეფიციტი • ფინანსური რესურსის სიმცირე
შესაძლებლობები	რისკები, საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა • სტუდენტთა მიერ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა • მატერიალური ბაზის შემდგომი სრულყოფა • ერთობლივი პროგრამების განხორციელება სხვა დაწესებულებებთან. 	<ul style="list-style-type: none"> • განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია • მიგრაციული პროცესები • ჩარიცხული კონტიგენტის სიმცირე • დედაქალაქთან სიახლოვე • რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ფონი • სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო და კერძო კოლეჯებისადმი

	<p>განსხვავებული მიდგომას დაფინანსების თვალსაზრისით</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილება.
--	---

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018-2023

სტრატეგიული ამოცანა	განხორციელების წლები						პასუხისმგებელი პირი/ინსტიტუცია	შენიშვნა
	2018	2019	2020	2021	2022	2023		
სტრატეგიული მიზანი 1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება								
1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება და მათი სრულად გადაყვანა მოდულურ პროგრამებზე	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი მოდულური პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი	
1.2 უახლოეს 2 წელიწადში მინიმუმ 5 პროფესიული პროგრამის განხორციელება განათლების, ზიზნისის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით	X	X						
1.3 მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება	X	X	X				ხარისხის მართვის მენეჯერი მოდულური პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი	
1.4 კავშირი სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და უმუშევართა მომზადება-გადამზადების პროგრამების შქმნა და რეალიზაცია	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი მოდულური პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი	
1.5 ზრუნვა პროფესიულ მასწავლებელთა ხარისხის ამაღლებისათვის. მათი კვალიფიკაციის ამაღლება.	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორი	
სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება								
2.1 მზადება ავტორიზაციისათვის, IV და V საფეხურის პროგრამების დამატება ამისათვის პროგრამების შემუშავება და მათი შესაბამისი კაბინეტ-ლაბორატორიების შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვა.	X	X					ხარისხის მართვის მენეჯერი საფინანსო სამსახური	
2.2 სარემონტო სამუშაოების ჩატარება	X						საფინანსო სამსახური დირექტორი	
2.3 ბიბლიოთეკის შევსება ახალი სასწავლო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის საინფორმაციო საკომუნიკაციო	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორი	

ტექნოლოგიური მხარდაჭერის განახლება გაძლიერება								
2.4 ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი საინფორმაციო სამსახურის უფროსი	
2.5 სასწავლო გარემოს შესაბამისობის უზრუნველყოფა დაგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან და მისი შემდგომი განვითარება	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორი სასწავლო პროცესის კოორდინატორი	
2.6 შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის სწავლის პირობებისა და გადაადგილებისათვის კომფორტული პირობების შექმნა	X	X	X	X	X	X	საფინანსო სამსახური დირექტორი	
2.7 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უსაფრთხოებისა და დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური სანიტარულ-ჰიგიენური სამსახური	
2.8 კოლეჯის სარეკლამო საქმიანობის განვითარება, ვებ-გვერდის განვითარება ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების ხარისხის და ხელმისაწვდომობის ამაღლება	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი	
2.9 კოლეჯის კურსდამთავრებულთა ბაზის პოპულარიზაცია დამსაქმებელთა შორის შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე დამსაქმებლის ორგანიზებული მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა.	X	X	X	X	X	X	საინფორმაციო სამსახურის უფროსი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი	

სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსი

3.1 კოლეჯის პროფესიული მასწავლებლებისათვის და მათთან ერთად ადმინისტრაციული პერსონალისათვის მეთოდური კონსულტაციების უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი ადმინისტრაციული საბჭო	
3.2 კოლეჯის პერსონალისა და პედაგოგებისათვის ტრენინგებში და სხვა ატივობები ჩართულობის ხელშეწყობა	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი	
3.3 პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხელშეწყობა	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი	
3.4 ადმინისტრაციული სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის კოორდინაციის მიზნით საქმიანობის პერიოდული	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი	

კონტროლი და ანალიზი								
3.5 უახლოეს 2 წელიწადში მინიმუმ 5 პროფესიული პროგრამის განხორციელება განათლების, ზიზნის ადმინისტრირების და ჯანდაცვის მიმართულებით	X	X	X	X	X	X	ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიონალი პედაგოგები შიდა მხარდაჭერის ჯგუფი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი სასწავლო პროცესის კოორდინატორი	
სტრატეგიული მიზანი 4. სტუდენტური სერვისების განვითარება								
4.1 თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა. წარმატებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა და დასაქმებისათვის ზრუნვა.	X	X	X	X	X	X	ადმინისტრაციული საბჭო ხარისხის მართვის მენეჯერი სტუდენტთა თვითმმართველობა	
4.2 სტუდენტთა სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბება	X	X	X	X	X	X	ადმინისტრაციული საბჭო სასწავლო პროცესის კოორდინატორი	
4.3 სპორტის ხელშეწყობა და სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	X	X	X	X	X	X	სასწავლო პროცესის კოორდინატორი სტუდენტთა თვითმმართველობა სასწავლო ჯგუფის კურატორები	
4.4 სტუდენტთა შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების, ექსკურსიების აგრეთვე, სასწავლო კონფერენციების მოწყობა	X	X	X	X	X	X	ადმინისტრაციული საბჭო სტუდენტთა თვითმმართველობა სასწავლო ჯგუფის კურატორები	